# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 17 კვირა, 7 დეკემბერი 1908 წ. № 17

გაზეთი „დროება“ ერთის წლით ღირს 7 მან., ნახევარი წლით—4 მან. 50 კაპ., ერთის თვით 90 კაპ., გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვებში.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „დროების“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია ხელ არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მან., ხოლო სხვაგან 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქუჩა, № 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭБА“.

**ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.**

მიიღება ხელის-მოწერა 1909 წლისათვის

## დროება

1909 წელს გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით, როგორითაც მდგომარე წელს გამოდიოდა. მომავალ წელს გაზეთი გაუმჯობესებული იქნება შინაარსით.

**◆ ყოველ დღიურ გამოცემის გარდა 1909 წელს გაზეთს ექნება ◆**

## სურათებიანი დამატება

დამატება გამოვა კვირაში ერთხელ—კვირაობით.

მომავალ წელსვე გაზეთში დაიბეჭდება „რუსეთის საიმპერიო“ ფელეტონები. ფელეტონები უკვე დაკვეთილია და დეკემბერშივე დაიწყო ბეჭდვა.

**გაზეთის ფასი დამატებიანა:** წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—5 მან. 10 კაპ., ერთი თვით—1 მან.

**თვიური ფასები:**

(პირველი სტრიქონი რუსეთისაა, მეორე—საზღვარ-გარეთისა)

| 12 თვით | 11 თვით | 10 თვით | 9 თვით | 8 თვით | 7 თვით | 6 თვით | 5 თვით | 4 თვით | 3 თვით | 2 თვით | 1 თვით |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8—50 | 8—10 | 7—60 | 7—10 | 6—50 | 5—80 | 5—10 | 4—40 | 3—70 | 3— „ | 2— „ | 1— „ |
| 12— „ | 11— „ | 10— „ | 9— „ | 8— „ | 7— „ | 6— „ | 5— „ | 4—50 | 3—50 | 2—50 | 1—50 |

**ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური ◆**

**◆ დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი**

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან. წლით გაზეთის გამოწერა შეიძლება მარტო პირველ იანვრიდან პირველ იანვრამდე. წლიური ხელის-მომწერმა ფული ან ერთიანად უნდა შემოიტანოს ან ნაწილ-ნაწილ ამგვარად: პირველად—3 მანეთი, პირველ მარტისთვის—2 მანეთი, პირველ მაისისთვის—2 მანეთი და პირველ ივლისისთვის—1 მან. 50 კაპ. გაზეთის გამოწერა უფასოდ არ შეიძლება.

ვინც 15 იანვრამდე გაზეთს გამოიწერს და სამ მანეთს შემოიტანს, იმას მიეცემა კედლის თვიური პატარა

## კალენდარი 1909 წლისა

**ხელის-მოწერა ჯერ-ჯერობით მიიღება მხოლოდ ტფილისში:**
„დროების“ კანტორაში—დიდი ვანქის ქუჩა, N 12; წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში მ. ქერეჟაშვილთან—სახაზინო ქუჩა, თავად-აზნ. ქარვასლა; სამალაზიოში მეპურე მელიტონ დოლიძესთან—მაგისტრალნი ქუჩაზე, გრიგოლ ჩარკვიანის სახლში; რკინის გზის მთავარ სახელოსნოში ვანო ჭავჭავაძესთან—ტოკარნი ცეხი.

პროვინციალურ აგენტებთან ხელის-მოწერა ჯერ-ჯერობით არ მიიღება. პროვინციალურმა ხელის-მომწერლებმა რედაქციიდან უნდა დაიკვეთონ გაზეთი ფოსტით.

ხელის-მოწერა რედაქციის კანტორაში შეიძლება: დილით 9-დან 3 საათამდე. საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Дроэба“ И. С. Аргадзе.

## აკაკის საიუბილეო დღესასწაული თეატრში

7-ს დეკემბერს 1908 წ.

### 1. პარაკლისი

სადგურზედ დილის 11 საათზედ (საზოგადოებას დაურიგდება აკაკის წიგნაკები).

გამგე **გ. ჭუმბურიძე.**

### 2. დილა

თეატრის დარბაზში პარაკლისის შემდეგ (საზოგადოება გაემართება პარაკლისის შემდეგ თეატრში).

გამგე **ვ. გომელაური.**

### 3. საღამო

ადგილობრივ თეატრში გაიმართება: აპოთეოზი და წარმოდგენილი იქნება აკაკის ისტორიული დრამა „პატარა კახი“. რეჟისორი **ს. ტარუაშვილი.**

წარმოდგენის წმინდა შემოსავალი და ღია წერილების შემოსავალი გადადებულია აკაკის ფონდისათვის. **საიუბილეო კომიტეტი.**

(3—6.—3)

**ტფილისის სახაზინო თეატრი**

სამშაბათს, 9 დეკემბერს, ოსიპოვის საბენეფისოდ წარმოდგენილი იქნება

## „ლ ა კ მ ე“

მონაწილენი: ქ-ნნი ხასლავსკაია, კალინინა მეორე, ლავროვა, ოსიპოვა, ფერრარი; ბ-ნნი კარჟევიჩი, კარელინა, სერგეევი, სმირნოვი და სხვ.

დირიჟორი **ი. პ. ფალიაშვილი.** რეჟისორი **ც. ურბანი.**

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

**ანონსი:** ოთხშაბათს, 10 დეკემ. კარჟევინას და პოზნიაკოვას მონაწილეობით „ევგენი ონეგინი“, სამშაბათს, 16 დეკემბერს ბენეფისი ს. ა. სერგეევისა ხუთშაბათს, 18 დეკემბერს, ბენეფისი თეატრის კასსირის მ. დ. სტრელკოვა-პლაამისა.

## ცნობა

სავაჭრო სახლი

## ძმ. აკოფჯანოვის და სარქისიანცის

**ნიკოლოზის ხიდზე, ქამოევის სახლში №№ 25—30.**

პატივი გვაქვს ვაუწყოთ პატივცემულ მყიდველებს, რომ რადგანაც საკუთარ ფაბრიკაში დამზადებულია დიდ-ძალი საქონელი

**100,000 მანეთისა:**

მამაკაცის, დედაკაცის, ბავშვების და ყველა დაწესებულების ფორმების; და, საზოგადოთ, ვაჭრობის შეჩერების გამო, მთავარ გამგეობის განკარგულებით ამ წლის **პირველ დეკემბრიდან** ყველა საქონელზე, რომელიც ინახება საზამთრო და საზაფხულო მაღაზიებში ტფილისში დანიშნულია

## დიდი იაფი ვაჭრობა

(10—6.—1)

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. ყორღანოვის ქუჩა N 14. (უ)

**ექიმი გ. ე. ხოჯაპარუხოვი** ყოფილი ასისტენტი ოდესის უნივ. კლინიკისა, მიიღება სიფილისით, საშარდით და კანით ავადმყოფთა დილით 9—11 ს., საღამოთი 5—7 ს; ქალებისა და ბავშვებისათვის 11—12 ს. სოლოლაკი, ბებუთოვის ქ., N 29, საკ. სახ. (25—639—11)

**ექიმი ქუთაისში ვ. წერეთელი** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ. ტფილისის ქუჩა, სადაც კაზაკოვის ქუჩა იწყება, სამხედ აბდუშელიშვილის სახლში, დილით —12 ს. და საღამოთი 4—6 ს. (უ)

**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი** იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნო, N 9. (უ)

**ექიმი კბილისა ალ. სოლოღაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივნისა. (უ)

**ექიმი კბილისა გრიგ. ტყეშელაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—5 საათ. ოლგას ქუჩა, N 33. (25—6.—14)

**ექიმი კბილისა ნ. რცხილაძე** იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი 5—7. ვერა, ოლგას ქუჩა N 25. (უ)

**ექიმი ვ. ლამბაშიძე** გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

**ექიმი ე. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 7—9 ს., საღამოთი 5—7 ს. აქტალის ქუჩა, N 41, სასულიერო სასწავლებლის პირდაპირ. (უ)

**ექიმი ჯაფარიძე ქ. ქუთაისში** შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ტფილისის ქუჩა, ს. თ. ნიჟარაძისა (6—26)

**ექიმი კბილისა ქუთაისში მ. ი. ბეგიშვილი** იღებს ავადმყოფებს დილით 9—1 ს. საღამოთი 3—5 ს. ბალახვანის ქუჩა, ფიფიაშვილის სახლი, N 4. (25—6—22)

**კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა** იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—7 საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (6.—45)

**ექიმები კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი და მ. ო. სუხარევსკი** იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. მოლოდის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. ამღორდნის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—44)

**ექიმი ე. ს. ხუნდაძე ქუთაისში** იღებს შინაგან, საშარდე და ქალთა სნეულებით ავადმყოფებს, აგრეთვე ბებიაობს, ყოველ დღე: დილით 10—1 ს., საღამოთი 6—7 ნახევარ საათ. ლევამოვის ქუჩა, ს. N 29 ჩარექოვისა. (25—6.—5)

**ექიმი ა. თ. ტყეშელაშვილი ქუთაისში** იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფებს (სიფილისი, სუსუნატი, საშარდე ძილის, ბუშტის და თირკმელების სატკივარი), ტფილისის ქ., ფირალოვის სახლი (ქარხანა). (120—ფ.—86)

**ექიმი ნ. მ. მელიქიშვილი** იღებს ქირურგიულ და ქალების სნეულებათა ავადმყოფებს ყოველ დღე 9—10 ს. დილით და 4—6 ს. საღამოთი, მთავრის ქუჩა, N 11. (25—656—2)

**ექიმი ა. ი. აშიანცი ქუთაისში** ყოფილი ორდინატორი ხარკოვის საუნივერსიტეტო ქირურგიულ კლინიკისა, იღებს ავადმყოფებს ქირურგიულ და ვენერიულ, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებათა. დილით 8—12, საღამოთი 5—7 ს. ტფილისის ქ., სახლი რეზნიძისა, N 20. (25—33.—12)

**ფერშალი ლეონტი ი. ბარკალაია**

უვროს ყვავილს. იღებს ყვლეჭირქებს, ზუხაგისა და ვენერიულ ავადმყოფთ ყოველდღე 3—6 საათამდე. გოგოლის ქუჩა N 68. (15—613—14)

**სამკურნალო ქუთაისში, ქირურგიული და დედათა სნეულებისა,**

მუდმივი საწოლებით, ტერაპევტიულ განყოფილებით და მშობიარეთათვის ოთახით **ექიმის ივ. ბოკერიასი** (გიმნაზიის ქუჩა, პრინცესა მიურატის სახლი, სადაც წინად ს. თოფურიას სამკურნალო იყო).

**ექიმი ვლ. ლორთქიფანიძე**—შინაგანი, ბავშვების და ნერვების სნეულებით ავად. დილით 9—1 და საღამოთი 4—6 ს.

**ექიმი ივ. ბოკერია**—ქირურგიული, ქალის, ვენერიულ და კანის სნეულებით ავად. დილით 9—1 ს. და საღამოთი 4—6 ს. **რჩევა ათი შაური.**

კონსულტაცია და ოპერაცია შეთანხმებით. მძიმე ავადმყოფებს იღებენ ყოველ დროს. (25—6.—9)

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 481.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 ს.-მდე.

**რუდენკო**—შინაგანი სნეულ. კვირა 3—4 საათ.

**რიდელი**—სიფილისი, კანისა, ვენერიული, ყოვ. დღე 2—3 ს.

**კალამქაროვი**—ბავ. და ქალთა. ყოველ დღე 4—5 საათ.

**ერმოლაევი**—ბავშ. და შინაგ. ყოველ დღე 1—2 ნახ. ს.

**პავლოცკი**—ქირურგ. ყოველდღე 4—5

**იოსელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბთ., ოთხშ., პარას., კვირა 11—12 ს.

**ბოჟოვსკი**—შინაგანი, ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

**გორალევიჩი**—შინაგ. ყოველ დღე. 11 ნახ.—12 ნახ. ს.

**ათენიანცი**—ყურ., ყელ., ცხვ. ყოველ დღე 10-ნახ. 11 ნახ. ს.

**იაკ. ჩუდნოვსკი**—ნერვებ., სულ.-ავ. ელექტრ. ორშ., ოთხშ. და პარასკ. 4—5 ს.

**ბალდინა-ნოვიცკაია** — ყურ., ყელ., ცხვ. ყოველ დღე. 4—5 საათ.

**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველ დღე 2—3 საათ.

**ნოვიცკი**—ქალ., ბავშ. ყოველ დღე 1—2 საათ.

**ნევზოროვა**—კბილისა, ყოველ დღე 11—1 საათ.

**პივარსკი**—კლინიკური ანალიზი.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—6.—84)

**კვირას, 7 დეკემბერს გამოვა საიუბილეო სურათებიანი**

## ალმანახი
## აკაკი

გაიყიდება შაბათ საღამოდან „შრომის“ სტამბაში. (2—655—2)

## !!!წაიკითხეთ!!!

**ქუთაისში**, ალექსანდრე კოსტავას მაღაზიაში, თბილისის ქუჩაზე, ქალაქის აფთიაქის გვერდით:

ეს-ეს არის მივიღეთ ყოველ გვარი **შეკერილი ევროპიული ტანისამოსი** და თეთრეული კაცებისათვის და აგრეთვე რუსული და საზღვარ-გარეთელი მატერიები კაცის ტანისამოსით, რომელსაც ვყიდით არშინობით და ვკისრულობთ შეკერვასაც.

**ფასები ძლიერ დაკლებულია**

(7—დ—6)

**გამოვიდა და იყიდება**

ბროშიურა **კიტა აბაშიძისა:**

## „აკაკი წერეთელი“

(სალირიკო პოეზია)

**ფასი სამი შაური.**

(10—უ.—10)

გამგეობა

## ვოლჟსკო-კამსკი

საკომერციო ბანკისა საყოველთაოდ აცხადებს, რომ ბ-ნ ფინანსთა მინისტრის ნებართვით, **10 ამა ქრისტეშობისთვიდან** ტფილისში იღება ამ ბანკის განყოფილება, რომელიც აწარმოებს ამ ბანკის წესდებით ნებადართულ ყველა ოპერაციას.

(1—6—1)

◀ **პოეტის** ▶

## აკაკი წერეთლის იუბილეი

კვირას, 1908 წლის დეკემბრის 7-ს

I

## დილის დღესასწაული

1. დილის 10 ს. **აკაკი წერეთლის** ბინაზე შეიკრიბებიან არჩეული პატივისმცემელნი და მათის თანახლებით იუბილარი 10 ნახევარ ს. გაემგზავრება სიონის ტაძარში, სადაც გადახდილი იქნება პარაკლისი.

2. პარაკლისის გათავების შემდეგ იუბილარი დაბრუნდება სახაზინო თეატრში.

3. 12 საათზე სახაზინო თეატრის სცენაზე იუბილარი მიიღებს დეპუტაციებისაგან. დღის დღესასწაული გათავდება 4 ს. საღამოს იუბილარის სიტყვით.

II

## საღამოს დღესასწაული

საღამოს 8 ნახევარ ს. სახაზინო თეატრში გაიმართება საიუბილეო წარმოდგენა.

**თამარ ცბიერი** — მეორე მოქმედება

**პატარა კახი** — მეორე მოქმედება

### ცხოველი სურათი აპოთეოზი

დეპუტაციები, რომელნიც ვერ მოასწრებენ დღით მილოცვას, მიულოცვენ იუბილარს საღამოთი, პირველსა და მეორე წარმოდგენას შუა.

ბილეთები სახაზინო თეატრში შესასვლელად როგორც დღის, ისე საღამოს დღესასწაულისთვის იყიდება წ.-კითხვის საზოგადოებაში. (5—უ.—5)



(0—1)

## ცირკი ძმ. ნიკიტინებისა

კვირას, 7 დეკემბერს, მეორე სადღესასწაულო წარმოდგენაა. რომელშიაც მონაწილეობას იღებენ ტფილისში ჯერ პირველად მოსულნი პირველ ხარისხოვანი მოთამაშენი. წარმოდგენა სამ განყოფილებისაგან შესდგება. დასასრულ დიდი ბალეტი, რომელიც შესდგება 24 ბალერინისაგან. დიწვრილებით აფიშებში.

დასაწყისი სწორედ საღ. 8 ნახევარ საათზე.

დირექტორი ცირკისა **აკიმ ალ. ნიკიტინი.**

## აკაკის საიუბილეო საჩუქარი

გამოიცა და იყიდება კავკასიის ქალაქების წიგნის მაღაზიებსა და რკინის გზის შკაფებში საამდროვო გამომცემლობის **„კოლხიდა“**-ს ახალი წიგნი ლექსები **ვარლამ რუხაძისა „ც ი ს კ ა რ ი“**, ივ. გომართლის წინასიტყვაობით და ავტორის სურათით. ფასი 25 კაპ.

საწყობი ქუთაისშია, წიგნის მაღაზია **„იმერეთ“-ში.** (3—6—2)

## ნადიმი

**(სადღესასწაულო სადილი)**

## აკაკის პატივსაცემლად

ორშაბათს, 8 დეკემბერს, ნაშუადღევის 4 საათზე. მიხეილის ქუჩა, „ნემეცების კლუბში“.

მსურველთ შეუძლიანთ ადრევე ჩაეწერნენ წერა-კითხვის საზოგ. კანცელარიაში და „ზაკავ. ობოზრ.“ რედაქციაში. (4—519—4)

**ვთხოვ** ავლაბრის წმ. მარინის ეკლესიის მრევლს, მობრძანდეს კვირას, 7 დეკემბერს, დილის 8½ საათზე წმ. მარინის ეკლესიაში მოძღვრის ასარჩევად. (მომხდარი არჩევნები 26 ღვინობისთვეს გაუქმებულ იქმნენ ექსარხოსის მოადგილის მიერ).

მოვაგონებ მრევლს, რომ სამი თვის ვადა მოძღვრის არჩევისა უკვე სრულდება. არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ყველა მამაკაცს მრევლთაგანს, არა ნაკლებ 25 წლისას.

(2—6.—2) წმ. მარინის ეკლესიის მნათე.

**ა**დმინისტრაციის განკარგულებით დახურულ ჟურ. **„მნათობის“ რედაქცია** ამით აუწყებს თავის ხელისმომწერთ, რომ იგი ახალ წლიდან შეუთანხმდება ერთ-ერთ ახალ კვირეულ გამოცემას, რათა ამ უკანასკნელს რედაქციამ შეუვსოს მათ დაკლებული ნომრები. (3—უ—2)

### სახალხო უნივერსიტეტი

ავლაბარში საღამოს სკოლის დამაარსებელი ჯგუფი მიმართავს იმ პირთ, ვინც ჩაწერილია ხსენებულ სკოლაში, მოვიდეს ორშაბათს, 7 დეკემბერს, საღამოს 5 ნახევარ ს. სახალხო უნივერსიტეტის გამგეობამ სკოლა მოაწყო.

ახალ მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერნენ როზოვის მოედანზე სახალხო ბიბლიოთეკაში.

სწავლის ფასი სამთვეში ერთი მანეთი. ჯგუფის მონდობილებით

(2—უ—2) **გიგო ვახილევი.**

**ტფილისი, 7 დეკემბერი.**

ყველა ჩვენი ზრახვა და აზრი, ყველა ჩვენი ფიქრი და გრძნობა დღეს გულთმხილავ მგოსნის აკაკისაკენ მიისწრაფის. ურიცხვი გული სძგერს საერთო გრძნობით, ურიცხვი გონება ფიქრობს საერთო ფიქრს. ხელოვნების გრძნეულმა ქურუმმა დღეისთვის თითქოს ჩვენ ყველას ჩამოგვართო ჩვენ-ჩვენი პიროვნება და ასე უპიროვნოდ დაგვაწაფებს იგი იმ წყაროს, საიდანაც ნახევარ საუკუნის განმავლობაში მოსჩქეფდა უწყვეტად მშვენიერ სიტყვათა და სახეთა ფერადი ნაკადული.

პიროვნების იერ-აკვეთილნი ვგრძნობთ, რომ ჩვენ ყველანი ტოლნი ვართ და სწორნი; ვგრძნობთ, რომ ყველანი ერთ დიდს ერთეულს შევადგენთ, იმ ერთეულს, რისთვისაც აფრქვევდა ცრემლს რუსთაველი, აკვნესებდა ჩანგს ბარათაშვილი, აელვარებდა სიტყვას ჭავჭავაძე და გალობდა ქებათა-ქებას აკაკი. ვგრძნობთ რომ ჩვენ ყველა ერთის მთლიანობის იდეალური ნაწილები ვართ და ამ შეგნებით ვიზრდებით ჩვენს საკუთარს თვალში.

საერო დღესასწაული გვაქვს. სახელით ის აკაკის ეკუთვნის, არსებითად კი ხალხს. ისტორიის ბორბალი კაი ხანია ისე ტრიალებს, რომ ქართველ ხალხს მხოლოდ იშვიათად ეძლევა შემთხვევა განიცადოს ეროვნულ მთლიანობის გრძნობა. მაგრამ ისტორიის ბედი მარტოოდენ ამ სიძუნწეს არ იჩენს ჩვენდა მიმართ. სიძუნწეს ის ხშირად ბოლომდის მომშხამავ გესლსაც წაუმატებს ხოლმე. მოიგონეთ დღესასწაულებრივი დაკრძალვა დიმიტრი ყიფიანისა, ბარათაშვილის ნაშთების მოსვენება ტფილისში, ყაზბეგის გასვენება ტფილისიდან, ილიას დასაფლავება მამა-დავითის მთაზე... ეს სამგლოვიარო აქტები ქართველ ერის დღესასწაულებად იქცნენ თავთავის დროზე. ისტორიის დაცინვაც ეს არის. ქართული საერო დღესასწაული თითქოს აუცილებლივ სამგლოვიარო ფონზე იშლება. ქართულ საერო დღესასწაულს თითქოს აუცილებლივ მწუხარის ელფერი

აქვს. ისტორია დიდის წვალებით იმეტებს ჩვენთვის სამხიარულო საერო დღესასწაულს. მხოლოდ მგოსნის რაფაელ ერისთავის იუბილეის ჰქონდა სამხიარულო ნიადაგი ჩვენს ხსოვნაში, აკაკის იუბილეი მხოლოდ მეორე ასეთი დიდი საერო სამხიარულო დღესასწაულია. მით უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის დღევანდელ დღეს, მით უფრო ღრმად ჩაგვწვდება გულის სიღრმეში აკაკის დღესასწაული.

მწუხარება გულჩახვეულია, მხიარულება გულ-გაშლილი. მწუხარების დღესასწაული უფრო შემბორკავია შემოქმედების ძალთათვის, ვიდრე გამახალისებელი. რასაც მწუხარება გულში ჩაადვენთებინებს ადამიანს, იმის გადაქმნა მომქმედ ენერგიად მხოლოდ სიხარულს შეუძლიან. და ვინ მოსთვლის, რაოდენი მწუხარება განიცადა ქართველმა ერმა დღევანდლამდე! ან ვინ გამოიცნობს, რა დამატყვევებელ წალკოტს შეჰქმნის ერის ენერგია, როცა მწუხარების გავლენით შებორკილს ძალებს მხიარულება გზას გაუხსნის და თავისუფალ მოქმედების ასპარეზს უჩვენებს. აკაკის დღესასწაული საერო მხიარულებაა. იმისი ნაყოფიც ერის შემოქმედ ძალების განხორციელება უნდა იყოს.

მთელი ჩვენის არსებით ვუერთდებით აკაკის დღესასწაულს და გვწამს, რომ იგი პროლოგია ერის აყვავებისა და განვითარების.

# აკაკი წერეთელი

დღეს მთელი საქართველო დღესასწაულობს საეროვნო დიდებულ დღეს.

ქართველი ერის ისტორიიდან კარგა ხანია სამხიარულო დღეები ამოშლილია და წარხოცილი. მარტო ვაება და გლოვა თუ გვაერთებდა, მარტო ტირილისა და „ვიშის“ დროს თუ იფეთქებდა ჩვენის ერის გულში დაზღვავებული საეროვნო გრძნობა. სამხიარულო კი ჩვენ ამ ასის წლის განმავლობაში ისეთი არა გამოგვილდია რა, ისე არ წავმწარებინოთ, რომ თავ-ბედი არ გვეწყევლოს.

ამ ერთის წლის განმავლობაში ჩვენს ერს ისეთი თავზარდამცემი უბედურება დაატყდა რომელიც სამარადისო საუკუნო ლაქად და დაღად ექმნება დაჩენილი, ჩვენს საეროვნო ისტორიას, ჩვენს სახელსა და პატივს. დიდებულის მოძღვრის ბარბაროსულად წამება და ავაზაკურად მოკვლა, მაშინ როდესაც ნამდვილი ხელმძღვანელნი და სულის ჩამდგმელნი ასეთის ბარბაროსობისა თავისუფლად დათარეშობენ და იქნებ ტანჯულის მგოსნის სისხლით განბანის ხელით ხელსაც გვართმევენ, ეს ისეთი მოვლენაა, რომელსაც კაცობრიობის ისტორიაში ან სულ არა აქვს მაგალითი ან თუ აქვს, ერთი-ორი.

მაგრამ დღეს ისეთი დიდებული, საეროვნო, არა ჩვეულებრივი დღესასწაულია, რომ ყველას გვინდა გული მოვიოხოთ, საიმედო და სანუგეშო რაიმე მოვსძებნოთ ამ დღესასწაულში და გული გავიმხნევოთ. მართლაც, ასეთი შეერთებული დღესასწაული, ასეთი ძლიერი საეროვნო მაჯის ცემა, რაიმეთი უნდა აიხსნას და რაიმეთი უნდა გამორკვეულ იქმნას ყველასათვის.

არ უნდა იმას თქმა, რომ აკაკი წერეთლის დიადი ნიჭი, ძლევამოსილი და ბრწყინვალე, საკმაო საბუთია და საკმაო მიზეზი დღევანდელ დღესასწაულისათვის. ხოლო იმასაც ვერ ავუხვევთ გვერდს, იმასაც ვერ დავტოვებთ უყურადღებოდ, რომ რაც უნდა დიდებული ნიჭი ჰქონდეს აკაკის, თუ ელვარება და შუქი ამ ნიჭისა ისეთს საგანს არ ევლებოდეს თავს, ისეთს საგანზედ არ იყოს მიქცეული, რომელიც დიდ საეროვნო საგანს შეეხება, მაშინ შესაძლოა და უეჭველიც ეს ნიჭი ასეთს საერთო აღტაცებასა და საერთო ენტუზიაზმს არ გამოიწვევდა. ისეთს მდგომარეობაში მყოფ ერს, როგორშიაც ჩვენა ვართ, მარტო ნიჭის ობიექტიური მხარე ვერ მოხიბლავს ასე ღრმად და ვერ გაიტაცებს. მას მხოლოდ ის ნიჭი გაიტაცებს, ის ნიჭი მოულბობს გულს, თვალზედ ცრემლს მოსწმენდს და გულში ნუგეშის სხივებს ჩაუშუქებს, რომელიც ერის მთავარ სატკივარს ყურადღებას მიაქცევს, ერის გულის წუხილს, გულის საიდუმლოს ცხადსა ჰყოფს.

აკაკის ნიჭის სიდიადეს სხვა არაფერი დამამტკიცებელი საბუთი უნდა იმის მეტი, რომ იგი საოცარის გულთა-მაილამობით, უცნაურის დაჟინებით ამ ერთს წყლულს აქცევს ყურადღებას და ორმოცდაათის წლის თავის ბრწყინვალე და მშვენიერებით ალსავსე პოეზიის საგნად გაიხადა ერის სავალალო საგანი. რომელიც გინდა მისი პოეზიის საუკეთესო მარგალიტი აიღეთ, თუ იგი ამ საგანზედ ფიქრისა და სევდის შექმნილი ცრემლი არ არის, ღვთაებრიობით აღბეჭდილი, მგოსნის თვალებზედ ობოლ მარგალიტებად ქცეული.

სიყმაწვილიდან სიბერემდის პოეტის სატრფო—იგია,

ვინც ეგულება ციხეში,
ცხრა კლიტულში მჯდომარე
და ვისაც
შეთვისებას უპირებს
გამძვინვარე მოყვარე.

იგია, ვისაც ნიადაგ ხვეწნით და მუდარებით და განმუდარებით ერთსა და იმავე ეუბნება: ხან
მიაძახებს: ჭაობჭარში ნუ ვარდები
ნუ გგონია იქ ია და ვარდები!..
შეიბრალე თავი შენი, იცოდე
მაგ შარბათში საწამლავს სვამ, იცოდე
ხან ანუგეშებს
გაუმაგრდი განსაცდელს
აიტანე ტყვეობა!
გშვენის ნესტან-დარეჯანის
მაგალითი... მზეობა.
ტარიელი—დაგეძებს
გავარდნილი დღეს ველად,
ავთანდილი ფრიდონით
მოდის გამოსახსნელად.
მგოსნის ჩანგურია ერთად-ერთი
საუნჯე წმინდა... დიდათ,
წარსულისა და მომავლის
სიცოცხლის გზა და ხიდიო.
იგია
ქვეყნის ჭირი და ლხინიო,
სამშობლოს სისხლი და ხორცი,
მისივე ნაღვლ ტვინიო.

ეს ჩანგურია, რომელიც მგოსანს გულზედ განუყრელად ჰკიდია, მისთვის, რომ
მისი სამშობლოს სიცილი
და მისი მწარე კვნესაო
ორივე ერთად სამებმა
შიგ გულში ჩაიკვნესაო.

მისი სიმები მარადით მას აწვდენდა საუცხოო ჰანგებით ცასა და ქვეყანას, ბუნებასა და ადამიანს
„გახსოვდეს
შენი სამშობლო ტკბილიო,
ვინც სულს არ სწირავს სამშობლოს
არ ეთქმის ქვეყნის შვილიო

და ბოლოს მთელი მისი ლექსების გვირგვინი, თუ შეიძლება ვთქვათ, დასკვნა მთელის მისის ლირიზმისა, იმ ლირიზმისა, რომელმაც უცნაურად და მომხიბლავად შეადუღა თვით უპირველესი და თვით უსაზოგადოესი გრძნობა სიყვარულისა და ტრფობისა. მისი ძებნა და პოვნა სულიკოსი—ეს მისი მთელის ფილოსოფიის გამომსახველი შედევრი ისე როგორც მისი ტრფობის სევდის უღრესი და უძლიერესი გამომეტყველი ტრილოგიური ლექსები—რა არის თუ არ იგივე სატრფოსთვის კვნესა, მისთვის ბრძოლა გულთან და სულთან, მისდამი ლტოლვა და მისი დაუშრეტელი წყურვილი.

იგი ეძიებს მთელ თავის სიცოცხლის განმავლობაში იმ სატრფოს, რომელიც არის
„ძალი ტურფა, დღეს მკვდარივით მძინარი,
„ფეხშიშველა, თავზედ—ლეჩაქ ახდილი.

იგია მარადის მისი ჰირისუფალი, ყოველთვის მისი მწუხარების ალით დამწვარი. როცა იგი მის რჩევას ყურადღებას არ აქცევს, როცა
არ უსმინა მწუხარებით დანა გულს,
მით დაასო საუკუნოთ დანა გულს.

თავის თავს საუკუნოდ წარწყმენდილად გრძნობს:
„ჩემო თავო, ვეღარ გკურნენ წამალით,
„დაღმართ დაღმართ დაუყევი, წამალით,
„იქ ჩაბრძანდი, სად გელიან ლოდებით,
„ბარით, ნიჩბით კუბოთ და ლოდებით.

და იმ სასოწარკვეთილებამდისაც კი მიდის, რომ თავს ეუბნება
„დაივიწყე, ვინც გახსოვდა მარადის!
„ხელ დაკრეფით განისვენე მარადის.

მაგრამ ეს სიტყვის მასალაა, და მისი სატრფოს შეცდომით.
მით ჯოჯოხეთს მარად გულით ატარებს
თუ მარტოა თავს მომაკვდავს ადარებს
თუ ხალხშია, ძალით ღრუბელს ადარებს

და ამის შემდეგ სადაც არ გაიმძრევა, ბუნების რომელ ნაწილსაც არ შეხედავს, მარტო „სულიკოს“ იძიებს და ბოლოს კიდევაც იპოვის და აღტაცებული გულის ხმა ეუბნება:
ეგ არის, რასაც ეძებდი,
მორჩი და მოისვენეო
დღე და ღამე აწ ტკბილად
და ღამე გაითენეო!
სამად დაშლილა ის ერთი
ვარსკვლავად, ბულბულ, ვარდათა,
თქვენ ერთმანერთი რადგანაც
ამ ქვეყნადა შეგიყვარდათო.

ამით ნუგეშით ცემული მგოსანი კმაყოფილი გვეუბნება
მენიშნა აღარ დავეძებ
საყვარლის კუბო-სამარეს,
აღარც შევჩივი ქვეყანას
და არც ვღვრი ცრემლებს მდუღარეს!
ისევ გამეხსნა სიცოცხლე,
ღვიძლი, რომ მწარეთ კრულ იყო
ახლა კი ვიცი, სადა ხარ,
სამგან გაქვს ბინა, სულიკო

ხანგრძლივი მოღვაწეობა დიდებულ მგოსნისა ამ ერთის ფიქრით, აზრითა და გრძნობით არის გაჟღენთილი, ამ ერთის საგნისაკენ არის მიმართული ქართველის ერის დამარხულის ბედნიერებისაკენ, რომელსაც ეს ერი შეგნებულად თუ შეუგნებლად იძიებს, გარეშე ამისა იგი მკვდარი იქნებოდა. რომ ჩვენის ერის გულში ღრმად არის ეს გრძნობა დამარხული და რომ ეს გრძნობა უდიდესი და უძლიერესი გრძნობაა ამის დამამტკიცებელი ისიც კია, რომ დიდებული მგოსანი, რომლის დღესასწაულში დღეს მთელი საქართველო იღებს მხურვალე მონაწილეობას, ამ ერის შვილია, რომ ამ მგოსნის საუცხოო ნიჭი მარტო ამ საგანს, ერის მთავარ სევდასა და კაეშანს დასტრიალებდა თავზედ, მის დაუსრულებელ ჰირისუფლობას კისრულობდა. ნურავინ იტყვის, რაიმე სხვა უკეთესი და შეურყეველი საბუთი მოიძებნებოდეს სადმე.

მეორე საბუთი იმისი, რომ ჩვენს ერს, მის და ჩვენდა საბედნიეროდ, გრძნობა არ დასჩლუნგებია, რომ იგი ლეშად არ გადაქცეულა, ის არის, რომ დღეს იგი აღტაცებით დღესასწაულობს იმ მგოსნის ნახევარ საუკუნის მოღვაწეობას, რომელიც ერის ჭირ-ვარამის დაუღალავი გამომსახველი იყო—მის ციურ ლექსებში და რომელიც ერთს რასმე ჩასძახებდა სანუგეშო საიმედოდ ამ ერს და ერთი რამეთი იმხნევებდა გულს—ხშირად გატეხილს და დაღვლიანებულს
არ მომკვდარა მხოლოდ სძინავს
და ისევე გაიღვიძებს;
ვინც ენატრის იმის სიკვდილს,
უმალ მასვე დააძინებს,

მაშ, მოიხარეთ ქედი დიდი მგოსნის წინაშე, რომელმაც ჩვენ მწარე ტკივილს სანეტარო მალამო მოსცხო. თაყვანი ვსცეთ იმ მგოსანს, რომელმაც თავის უკვდავის საუცხოო ჩანგურის სიმები მარადის იმისთვის ჰქონდა მომართული, რომ ლეჩაქ-მოხდილი და ფეხ-შიშველი სატრფოს ბედი ეტირა, და მისთვის ნუგეშისა და იმედის ძალი ჩაენერგა. ვაშა და ვაშა უთხარით იმ მგოსანს, რომელმაც ჩვენს ვაებასა და სევდას სამაგალითო ჰირისუფლება გაუწია და რომლის სამაგალითო პოეზია ხან გულ-საკლავად მკვნესარ თარად გვევლინებოდა, რომლის წყალობითაც
შორს მივყავდართ მომხიბვლელსა ოცნებას,
არვის მონებს შემკობილი ეს მხარე,
ხან ქვეყნის ჭირსა და ლხინს ჩანგურად, რომელიც დედის ძუძუს რძესთან ერთად ნაზად ყურში ამ ნანინას გვიმღეროდა: „შვილო მამულის გულისთვის სისხლი დაღვარეო“, ეს საუცხოო პოეზია ხან ობოლ-ვარდად გვეჩვენებოდა, რომელიც საყვარლის საფლავს ფარავდა, ხან სულგანაბულ ბულბულად, რომელიც ამ საფლავს დაჰკვნესოდა და დაჰკიკინებდა, ხან კაშკაშ ვარსკვლავად, რომელიც ამ საფლავზე აფრქვევდა სხივებს.

თაყვანი ვსცეთ მას და მიუჩინოთ ადგილი ჩვენის ერის სულის დიდებასა და საუკეთესო განძში—ქართულ ლიტერატურაში, რომელიც მან მეტად ღირსეულად დაიმსახურა. მიუჩინოთ მას ადგილი ნიკო ბარათაშვილისა და ილია ჭავჭავაძის გვერდით. მომავალს მივანდოთ იმისი განსჯა, ვის ეკუთვნის პირველი ადგილი ამ სამში. დღეს დღეობით კი იგი ორივეზედ უფრო ბედნიერია, ვინაიდან იგი ხედავს ძალებს და აღტაცებულს ერს, მის წინ თავმოხრილს, მისს წინ სიხარულისა და სიყვარულის ცრემლების მფრქვეველს, მაშინ როდესაც ის ორნი...

მაგრამ დღევანდელ დღესასწაულში ყველაფერი დავიწყებას მივცეთ და ერთის ხმით და ერთის გრძნობით შევსძახოთ მხცოვან დიდებულ მგოსანს:
სულ მნათო, მადლი შენს გამჩენს,
დიდება ერსა შენს შემქმნელს!

**კიტა აბაშიძე.**

# აკაკი

(მცირე ბიოგრაფიული და ბიბლიოგრაფიული ცნობები).

აკაკი წერეთელი დაიბადა 1840 წელს დაბა საჩხერეში. მამა აკაკისა როსტომ ძველებური მებატონე იყო. დედა—აბაშიძის ასული, მეფეების შთამომავალი.

სიყმაწვილე აკაკიმ ძიძის ოჯახში გაატარა. ძველი ჩვეულებისამებრ, დაიბადა თუ არა აკაკი, იგი სოფელ სავანეში ძიძას მიაბარეს. აქ მომავალმა მგოსანმა ხუთ წელიწადს დაჰყო. ეს პირველი წლები საუკეთესო ხანაა მგოსნის ცხოვრებაში. დღეებს ბავშვი სულ გარედ ატარებდა, ტოლ-ამხანაგებში, გლეხის ყმაწვილებში. როგორც ჩიტი, ისე დაფრინავდა პატარა აკაკი. მისი ცხოვრების ეს ხანა თავისუფალი და შეუზღუდველი იყო.

ამიტომაც იყო, როდესაც ხუთი წლის ბავშვი მამამ თავის ოჯახში წაიყვანა, ცოტა არ იყოს, არ ესიამოვნა. აქ, თავის მამის ოჯახში, პირველად დაინახა ბატონ-ყმური ცხოვრება—ერთნი განცხრომით სცხოვრობდნენ, მეორენი—თავს ევლებოდნენ.

მამის ოჯახში აკაკი რვა წლამდე დარჩა. ზრდიდა დედა, იმ დროის შესაფერად დიდად განათლებული და განვითარებული, ამასთან შესანიშნავი ადამიანი. დედამ ასწავლა პირველად ანა-ბანა, წერა და ლოცვები. აკაკის დედასთან გლეხის ბავშვებიც დადიოდნენ და პატარა აკაკი მათთან ერთად სწავლობდა.

თორმეტი წლის აკაკი ქუთაისს წაიყვანეს და გიმნაზიაში მიაბარეს. გეცოდინებათ ან გაგონილი მაინც გექნებათ, რა იყო მაშინდელი სკოლა. ბავშვის პირველ აღმზრდელად და მასწავლებლად როზგი ითვლებოდა. მაშინდელი მოსწავლე იტანჯებოდა ხორციელადაც და სულიერადაც. ცემა-ტყეპა, ლოთი მასწავლებლები, უაზრო სწავლა, ეროვნული დევნა—აი რა იყო გამეფებული მაშინდელ სკოლაში აკაკი, რასაკვირველია, სასიამოვნოს ვერაფერს იხილავდა გიმნაზიაში და აკი ამიტომაც, ოთხი თვე რომ აკლდა გათავებას, სულ თავი მიანება გიმნაზიას.

გიმნაზიაში აკაკი პირველად დააკვირდა თავის ქვეყნის ვითარებას, მის წარსულსა და აწმყოს. აქვე დაიწყო ლექსების წერა. სულ თორმეტი წლისა იყო, პირველი ლექსი რომ დასწერა. ეს ლექსი „ლამაზარი“-ა.

გიმნაზიიდან გამოსვლისას, აკაკიმ სამხედრო სამსახურში განიზრახა შესვლა. ამ აზრით მამამ პეტერბურგს გაჰგზავნა, სადაც აკაკის ძმა კონვოიში იყო, მაგრამ აკაკი სამხედრო სამსახურის ნაცვლად უნივერსიტეტში შევიდა. აქ ჩაება პირველად მგოსანი მესამოცე წლების მოძრაობის ფერხულში და აქედან იწყება მისი ნამდვილი მოღვაწეობა სამშობლო ლიტერატურის ნიადაგზე.

როგორც ვთქვით, აკაკიმ წერა ძალიან ადრე დაიწყო, ბავშვობისას, მაგრამ მისი პირველი თარგმნილი ლექსი—„მთა პალესტინისა“ 1858 წელს დაიბეჭდა, როდესაც მგოსანი თვრამეტის წლისა იყო. ეს ლექსი დაიბეჭდა „ცისკარ“-ში. სისტემატიური თანამშრომლობა აკაკისა მაშინდელ ჟურნალ-გაზეთებში იწყება 1860 წლიდან.

მოვიყვანთ მცირეოდენ ბიბლიოგრაფიულ ცნობებს აკაკის პირველ ნაწერების შესახებ, რომელ წელს რა დაიბეჭდა და რა ჟურნალ-გაზეთში.*)

**„ცისკარი“**

1860 წ.

„საიდუმლო ბარათი“, „ცოდვილის სინანული“, „ამაო ძებნა“, „მოხუცებულის მოგონება“.

1861 წ.

„ლოდინი“, პოემიდან „რუსეთუმე“ (მე-X თავი), „სალამური“, „ძმაო ალექსანდრე“, „ძველი ამხანაგები“, „კეთილი რჩევა ბევრი მსმენია“.

1862 წ.

„ალექსანდრა გაიხედა“, „ჭური“, „გამკლელები და ძაღლები“, „აპელაციის მცოდნე“, „მოხუცის მოგონება“, პოემიდან „რუსეთუმე“, „ფარისეველი“.

1863 წ.

„მუშური“, „დიდი კნიაზის მიხეილ ნიკოლოზის ძის მობრძანების დროს ახალი შთამომავლობა უმღერის საქართველოს“, „გოდება ებრაული“, „ვირი და ფილოსოფოსი“, „შიქასტა“, „დღე და ღამე იყრიბა“, პოემიდან „რუსეთუმე“ (მეორე თავი), „გლეხის ახსარება“, „მომაკვდავი ყმაწვილი“, „მოგონება“, „ავადმყოფი“, „სიმღერა მკის დროს“.

1864 წ.

„იმერული ნანინა“, „ჩონგურის ძალა“, „კ. ბ. ჯ.“.

1865 წ.

„უდარდელი კაცი“, „ქმრის გოდება“ (ბერანჟედან), „იეფი ფასის ასული“.

1868 წ.

„მაზურკის ხმა“, „პირველი და უკანასკნელი სიტყვა „დროებისადმი“ (წერილი), „ძველსა და ახალს შუა“ (კომედია), „ჩემს მუზას“, „ფუტურო“, „ახალი პოეტის მიბაძვა“.

**„დროება“**

1866 წ.

„მატლი“ (დობროლიუბ.-დან).

1867 წ.

„მოზარე“, „სადილი გუბერნიის წინამძღოლისას“ (კორესპონდენცია ქუთაისიდან).

1869 წ.

წერილი რედაქციის მიმართ.

1870 წ.

„ცხელ-ცხელი ამბები“ (ფელეტონი).

**„მნათობი“**

1868 წ.

პოემა „ალექსი“ და წვრილი ლექსები.

# აკაკის იუბილეი

**საიუბილეო დღესასწაული**

დღეს, 7 დეკემბერს, ტფილისში გაიმართება აკაკის საიუბილეო დღესასწაული.

პირველად სიონის ტაძარში გადახდილი იქნება სამადლობელი პარაკლისი. იქ ქართველი სამღვდელოება მიულოცავს იუბილიარს. შემდეგ აკაკი, დანიშნულ პირთა თანხლებით, გაემგზავრება სახაზინო თეატრში, სადაც 12 საათზე დაიწყება მილოცვა: ადრესების და დეპეშების წაკითხვა, სიტყვების წარმოთქმა და სხვა. დილის დღესასწაული გათავდება თვით იუბილარის სიტყვით. საღამოს იქვე გაიმართება სადღესასწაულო წარმოდგენა აკაკისავე პიესებიდან. წარმოდგენის დასასრულ აპოთეოზი.

დეპუტაციათა რიცხვი მრავალია. პროვინციიდან ბევრნი ჩამოვიდნენ. სამწუხაროდ, სახაზინო თეატრი მსურველთა მეოთხედსაც ვერ დაიტევს.

**ლიეჟი** (დეპეშა).

დიდო მოხუცო! იცოცხლე მარად, რომ სიმთა ჟღერით მშობლის ჰანგები მიზანსა დიადს გულს გვინერგავდე და მშობელ მხარეს თვისსა იარებს დედის ნანათი დაუამებდე.

**ლიეჟელი ქართველები.**

**პარიზი** (დეპეშით). აკაკის იუბილეისთან ერთად ვდღესასწაულობთ საქართველოს ეროვნულ გამოფხიზლებას.

პარიზელი ქართველები: **ადამაშვილი. საბახტარიშვილი, ციციშვილი. ჯანელიძე, თაქთაქიშვილი და გველესიანები.**

**საისტორიო საზოგადოება.** ქართულმა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ჩვეულებრივმა კრებამ 5 დეკემბერს ერთხმად აირჩია საზოგადოების საპატიო წევრად აკაკი წერეთელი და დაადგინა, ადრესი მიართვას მხცოვან იუბილიარს. ადრესის მისართმევად კრებამ აირჩია: დ. კარიჭაშვილი, ა. ი. სარაჯიშვილი და ს. რ. გორგაძე.

**შუშა.** აკაკის ფონდის გასაძლიერებლად აქ შეიკრიბა ფული. შემომწირველთა სია: თ ა. ვახნაძე—5 მ. მ. ჭავჭავაძე—5 მ. ვ. დამხური—5 მ. კ. მაჭავარიანი—3 მ., ი. ყიფშიძე—5 მ., Н. Н. Васильевъ—2 მან., ა. ხატარაშვილი—2 მ., М. Гаджіевъ—50 კ, გრ. ცხადაძე—5 მ., არჩილ ნინიაშვილი—5 მ., ნ. სადამატინი—1 მ., დ. გარასაძე—50 კ., მურადოვი—50 კ., ნატრიაშვილი—1 მ., ნანაძე—1 მ., ს. ქარუმელიშვილი—2 მ., Абгарянцъ—50 კ., ა. ბერძულიშვილი—1 მ., Т. К. С. 50 კ., шт. капитанъ Юзбашевъ 1 მ., подпор. Даніелъ-Бековъ 50 კ., შტ. კაპ. ზიკაიძე 1 მ., ი. შუქრიშვილი—5 მ., კასტორსკისა—1 მ., ფეოფილაქტე—1 მ. სულ 55 მანეთი. აქედან 40 კ. წერილებისა და ფოშტის ხარჯი.

**ვლადიმერ ლაშხაური.**

# აკაკის რწმენა

აკაკის ლექსთა შორის ყველაზე უფრო ვაფასებ „ორ სურათს“, სადაც, ჩემის აზრით, ადამიანის ცხოვრების უღრმესი ფილოსოფიაა გამოხატული. პოეტი აგვიწერს ჯადოსნურის ძალით დატვირთულ, სულის მქეჯნავ ღამის წყვდიადს. გულის მწარე ტკივილით თვალს ავლებს იგი ამ წყვდიადში უხმოდ მონავარდე ღამურებს და უსმენს ზარნაშოს გულის შემზარავ კივილს. პოეტის გული მთლად შემოჰვლილია რაღაც უძრავ უიმედობით. თუმცა ღამე გარეგნულად წყნარი და მშვიდობიანია, მაგრამ მაინც „არარაობა სჯობს ამ არსებას და ტანჯვით შფოთს ამ მოსვენებას“.

მკითხველო გადაედო პოეტის სულის განწყობილება, იგიც მასთან სწუხს და იტანჯება ამ ტანჯვის ვითარება მძიმე და გაუგებარია. წყეულ-კრულვას ბედი, რომელიც ამ ბნელ ღამეს აზის, სულს უხუთავს, სასოს უკვეთს, მაგრამ ამ სულის ქენჯნას თავისი საზღვარი აქვს „უეცრად მთის გადაღმიდან გამოჩნდება მთავრე სხივ-მომფინარე მუდამი მისი თანმსრბოლი მცირე ვარსკვლავი მოსხივ-ცისკარე, თვის შუქით ჰკურნებს ტანჯულ ბუნებას, მშობიურ ალერსით სჭვრეტს მომცინარე! მით მიუბრუნდა ბუნებას მაჯა და სულს იბრუნებს მთლად არე-მარე“.

მთვარე თავის ვარსკვლავით—პოეტის გულში ამოსული რწმენაა, რომელიც სულის მწარე ქენჯნას უქარვებს და სასოებით აღავსებს.

ჭეშმარიტების მძებნელი თვითეული ადამიანი თავის ცხოვრებაში სწორედ ამ გვარ გრძნობას განიც-

---

*) აქ მოყვანილია ცნობები 1870 წლამდე, დანარჩენს შემდეგ დავბეჭდავთ.

დის სულიერი ტანჯვა-მწუხარება, ყოველ-ფეხის გადადგმაზე ძმათა შორის ძალმომრეობის სულის მორგუნავი სურათები, ყველგან გამეფებული უიმედობა, უსასოება და სულ-დაცემულობა ბედნიერებისაკენ მომავალი გზა თითქმის სრულიად აღკვეთილია და ერთ წერტილზე უძრავად გაჩერებული ტვინი მშფოთარე ადამიანისა იწვის და იდაგება უილაჯობით. მაგრამ იმედი ახლოსაა, იმისი უკდავი ფესვები თვით ადამიანის გულშია. თვით ეს მწარე ტანჯვა ბოლოს და ბოლოს ღრმად აგრძნობინებს ადამიან, რომ ძმობა-ერთობის, მოყვასთა მიმართ სიყვარულის გარეშე იმისთვის გსნა არ არის; შეამცნევს მკვეთრად იმ ჭეშმარიტებს, რომ იმისი მკურნალი—თვითმას სულსა გულშია და შორს ძებნა არასჭირდება. მაშინ მის გულში დადებულ ღრმა სატანჯველი უეცრად გზას გაიხსნის და არა მარტო იქცევა და ის მქენჯნავი ძალა, რომელიც დღემდის სულის უხუთავდა, ფერს იცვლის, ცისკრის შუქად გარდიქმნება, რადგან, როგორც გვამცნევს პოეტი „მაგალითს გვაძლევს ბუნება; ჯერ უნდა ვნახოთ ჩვენ განსაცდელი, რომ მით, გვირგვინი გამოცდილების, ბოლოს ვიხილეთ ბნელი ნათელი!…"

ვისაც ვის ცხოვრებაში სულის ღრმა ტანჯვა-მწუხარება არ განუცდია, იმას მტკიცე რწმენაც არ უღვივის გულში. მწუხარება ის გრძნობა, რომელიც მძლავრად უნდა შესძრას, და ხნას, გადააბრუნოს ჩვენი ადამიანურ სულისა და გულის ნიადაგი, რათა შიგ რწმენამ ღრმად ჩადგა თავისი ფესვები და მაღლა უკვდავ ჭეშმარიტების შუქზე თავისი გვირგვინი გადაშალის.

ილია ნაკაშიძე.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

გაზ. „სლოვო"-ში დაბეჭდილია პროფ. ცაგარლის წერილი საქართველოს ეკლესიის შესახებ. სინოდი თავს იმტვრევს რა უყოს და რა უშველოს საქართველოს ეკლესიის აწეწილ საქმეებს. საქმე სრულებით ადვილიაო, ამბობს ცაგარელი და განაგრძობს:

> უნდა აღდგენილ იქმნას საეკლესიო კანონი. როცა 1811 წელს უკანასკნელი საქართველოს კათოლიკოსი ანტონი მეორე სამსახურიდან გადადგა, იმპერატორის უმაღლესის ბრძანებით საქართველოს ეკლესიის გამგებლობა დაევალა უწმ. სინოდს, რომელიც მას შემდეგ თავის ეგზარხოსებს ჰგზავნის საქართველოში. ამ რიგათ 1811 წელს მოხდა მხოლოდ საქართველოს ეკლესიის გარეგან გამგებლობის დაქვემდებარება სინოდისადმი და ეს მოხდა უმაღლესის ბრძანებით. ხოლო საკითხი საქართველოს და რუსეთის ეკლესიების შეერთების შესახებ არც-კი აღძრულა, რადგან ეკლესიების შეერთებისა და გაყოფისათვის არსებობს მტკიცეთ აღნიშნული კანონიკური საფუძველი: საეკლესიო საკითხი საქართველოს ეკლესიისა, მისი შეერთება და დაქვემდებარება უნდა განეხილა რუსეთის და საქართველოს საეკლესიო კრებათ, რომელთა დადგენილება უნდა დაემტკიცებინათ აღმოსავლეთის პატრიარქებს ან მსოფლიო საეკლესიო კრებას, რომლის თანასწორი წევრი იყო ივერიის ეკლესია მეოთხე საუკუნიდან. მამასადამე, აღდგენა წინანდელ კანონიკურ წესისა შეიძლება იმავე გზით, რომლითაც იგი დარღვეულ იქმნა, ე. ი. უმაღლესის ბრძანებით. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის პეტიციაზე 1906 წ. 11 აგვისტოს, ხელმწიფე იმპერატორმა წააწერა: „მომავალ საეკლესიო კრებამ იქონიოს მსჯელობა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ". ცხადია ეს სიტყვები იმას არ ნიშნავს, რომ საეკლესიო კრებამ მსჯელობა იქონიოს საქართველოს ეკლესიის ლიკვიდაციისა ან გაუქმების შესახებ ამის მოხდენა არ შეუძლიან არც რუსეთის საეკლესიო კრებას არც სამოქალაქო მთავრობას. მომავალ კრებას შეუძლიან იქონიოს მსჯელობა მხოლოდ იმ ღონისძიებებზე, რომლებითაც შეიძლება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა და იმ ურთიერთობაზე, რომელიც უნდა არსებობდეს მომავალში რუსთა და ქართველთ ეკლესიების შორის.

შემდეგ პროფესორი ამბობს იმ წესებზე, რომლებზედაც უნდა მოეწყოს პირველ ხანებში თავისუფალი საქართველოს ეკლესია და იმ დამოკიდებულებაზე, რომელიც იარსებებს რუსეთისა და საქართველოს ეკლესიების შორის. ბოლოს განმარტავს, რომ საკითხის ასე გადაწყვეტის წინააღმდეგ არ არის არც პრინციპიალური, არც თეორეტიული, არც პრაქტიკული მოსაზრება.

> 1783 წლიდან 1811-მდე გამოცემულია რამდენიმე უმაღლესი გრამოტა და სხვა ოფიციალური დოკუმენტები, რომლებშიაც პირველი ქართველი მწყემსმთავარი იწოდება როგორც „უმთავრესი კათოლიკოს-პატრიარქი სრულიად საქართველოისა". საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობა არასოდეს საეჭვოდ არ მიაჩნდათ რუსეთის ეკლესიას, ორი უდიდესი რუსეთის ეკლესიის მწყემსმთავარი პატრიარქი ნიკონი და მოსკოვის მიტროპოლიტი ფილარეტი ყოველთვის საბერძნეთის ეკლესიის თანასწორად სთვლიდნენ საქართველოს ეკლესიას. ასევე უყურებდა საქართველოს ეკლესიას საბერძნეთის ეკლესიაც, რასაც მოწმობენ მეექვსე საუკუნის ისტორიკოსი პროკოპი. პატრიაქი ბალსამონი და სხვანი.

## სახელმწიფო სათათბირო

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

### აგრარული საკითხი

მე-27 სხდომაზე სათათბირო განაგრძობს კამათს 9 ნოემბრის კანონის მეორე მუხლის შესახებ. კამათი უმთავრესად ხდება საკითხს თუ რომელ წესს კერძო საკუთრებასას მიეცეს უპირატესობა: პირადსა თუ საოჯახოს. როგორც მკითხველებს ახსოვსთ, წინა სხდომაზე მემარცხენეთა წარმომადგენელნი საოჯახო საკუთრების მომხრენი იყვნენ. 4 დეკემბრის სხდომაზე ამასვე დაუჭირეს მხარი უკიდურესმა მემარჯვენეებმა; საოჯახო დამცველებათ გამოვიდნენ მემარჯვენეებიდან **ტიმოშკინი** და **პოპოვი**. პირადის საკუთრების დამცველებათ გამოვიდნენ გლეხი ოქტომბრისტი **ალექსანდროვი** და გრაფი **ბობრინსკი** მეორე, რომელმაც გრძელი სიტყვა წარმოსთქვა. კერძო საკუთრების პრინციპით, აღნიშნა მან, სრულიადაც არ არის ახალი რამ ჩვენს კანონმდებლობაში, იგი სავსებით გამომდინარეობს 1861 წლის დებულებიდან. მხოლოდ მეოთხმოცე წლებიდან იცვლება მთავრობის აზრი ამ საგანზე; იწყება სამწუხარო და ბნელი ხანა რეაქციონურ ბიუროკრატიის ბატონობისა; ამ ბიუროკრატიას არა სწამს ხალხის მოქალაქეობრივი და პოლიტიკური უფლებები; თავის მძიმე თათის ქვეშ აყენებს გლეხობას და მხოლოდ ამიტომ იცავს სათემო ან საოჯახო საკუთრებას. დღეს ამგვარსავე წესის დამცველებათ გამოდიან კადეტები და უკიდურესი მემარჯვენენი. ამათ შეითვისეს ბიუროკრატიულ სოციალიზმის აზრი და თავგამოდებით იცავენ დესპოტიურ საოჯახო უფლებას მაშინ, როდესაც ხალხი პირად თავისუფლებისაკენ მიისწრაფვის. კადეტების საუკეთესო ორატორები და იურისტები, აჯემოვი, მაკლაკოვი და პერგამენტი სდუმან; ეგრე უნდა იყოს, რადგან ნამდვილ იურისტს არ შეუძლიან დაიცვას საოჯახო საკუთრება და უფლება. რაც შეეხება უკიდურეს მემარჯვენეთ, მათ დაცვისაკენ ღმერთმა დაიფაროს გლეხობა. ობრაზცოვმა ისეთი სიტყვები წარმოსთქვა აქ, რომელთაც ვერ იპოვით ვერც-ერთ პარლამენტის მატიანეში. მისი აზრით კერძო მესაკუთრე გლეხი მაშინვე გაჰყიდის მიწასაც, თავის საკუთარ შვილებსაც, გაჰყიდის თავის თავსაც და დაჰლუპავს სამშობლოს სვე-ბედსაცაო. ეს ცილის წამებაა და ხმამაღლა ვაცხადებ პროტესტს. (ხანგრძლივი ტაშისცემა ცენტრში).

**სავათელიანი** ტრუდოვიკების მხრით აცხადებს, რომ რადგან 9 ნოემბრის კანონში ძალდატანებითი ელემენტია, ეს ფრაქცია მხარს არ დაუჭერს კანონს.

**კოვალენკო** მეორე (გლეხი) აცხადებს, რომ გლეხებს საწინააღმდეგო არა აქვთ-რა პირად საკუთრებისა. (ტაშისცემა ცენტრში და მარჯვნით).

ამის შემდეგ პირად საკუთრების დასაცველად გრძელ სიტყვას ამბობს პრემიერ მინისტრი სტოლიპინი, როგორც შინაგან საქმეთა მინისტრი.

ბევრს აფიქრებსო, სთქვა სხვათა შორის მინისტრმა, რომ პირად საკუთრების წინააღმდეგ გამოდიან მარცხნიდანაც და მარჯვნიდანაც. მემარცხენენი ამ შემთხვევაში ნამდვილ და გონიერ თავისუფლების პრინციპის წინააღმდეგნი არიან. ნუ თუ ცხადი არ არის, რომ თემის და ოჯახის უფლება 90 მილიონ გლეხთათვის ის საშინელი ბორკილია, რომელმაც ამდენი ხნის განმავლობაში შეჰბოჭა გლეხთა ცხოვრების განვითარება? განა არა კმარა, ამდენი ხნის ცდა და დრო რომ გვქონდეს იმ ახალ გზაზე, რომელზედაც კარგახანია ადგანან დაწინაურებული სახელმწიფოები?! მემარცხენენი კარგათ ჰხვდებიან, რომ ძლიერი კერძო მესაკუთრე გლეხი წინააღმდეგი იქმნება სარევოლუციო მოძრაობისა, რომ ისინი ასე ჰფიქრობენ გვამტკიცებს უკანასკნელი კრება სოციალისტ-რევოლუციონერების ლონდონში, მომხდარი ამა წლის ენკენისთვეში. აი სხვათა შორის რა დაადგინეს ამ კრებაზე: „მას შემდეგ რაც რევოლუცია დამარცხდა და მიწების ჩამორთმევა არ მოხდა, მთავრობა სცდილობს დაჰყოს გლეხობა, რისთვისაც აკანონებს კერძო საკუთრებას; ყოველი ნაბიჯი ამ გზაზე არის დამარცხება რევოლუციისა. ამიტომ პარტიის მოვალეობაა დაუღალავათ იქადაგოს მიწის კერძო საკუთრების წინააღმდეგ." აი რათ ეწინააღმდეგებიან 9 ნოემბრის კანონს მემარცხენე ჯგუფები. (ხანგრძლივი ტაშისცემა ცენტრში და მარჯვნით).

**ლუნინი** (გლეხი) აღნიშნავს, რომ მესამე სათათბირო, შემდგარი მემამულეთაგან, იმიტომ აკანონებს წვრილ კერძო საკუთრებას, რომ იმედი აქვთ ამ გზით თავიდან აიცდინონ იძულებითი ჩამორთმევა; მაგრამ ტყუილი იმედია, ადრე თუ გვიან მოუხდებათ მიწების დათმობა (ტაშისცემა მარცხნივ).

კამათი გადადო შემდეგი სხდომისათვის.

## დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

6 დეკემბერი.

### ოსმალეთი

**ბერლინი.** ქაირიდან „კაბელ-გრამ-გაზელშაფს" დეპეშით ატყობინებენ: ოსმალეთის პარლამენტის გახსნა მთელმა ეგვიპტემ იდღესასწაულა. ქედივის ბრძანებით, ქაირსა, პორტსაიდსა და ალექსანდრიაში ზარბაზნები გაისროლეს.

### საზღვარ-გარედ

**ჰააგა.** გარეშე საქმეთა სამინისტრომ უარ-ჰყო ცნობა იმის შესახებ, ვითომ ვენეცუელას ომი გამოეცხადებინოს ჰოლანდიისათვის.

**ლონდონი.** 4 დეკემბერს ლორდთა პალატის სხდომაზე ინდოეთის საქმეთა სტატს-სეკრეტარმა მორლეიმ წაიკითხა მოხსენება ინდოეთის საქმეთა მდგომარეობისა და იქ განზრახულ რეფორმათა პროექტის შესახებ. თავის სიტყვაში მორლეიმ გაამართლა უკანასკნელი საკანონმდებლო ზომები, რომელიც მთავრობამ მიიღო ინდოეთში ხალხის მღელვარების წინააღმდეგ. იგი ამტკიცებდა, საჭიროა, მღელვარების წინააღმდეგ შემდეგშიაც სასტიკი ზომები ვიხმაროთო. მაგრამ, მიუხედავად ამისა, რეფორმები მაინც საჭიროა ინდოეთშიო. ჩვენ არა ვფიქრობთ, განაგრძო მორლეიმ, ინდოეთში საპარლამენტო სისტემა დავამყაროთ: განზრახულია პროვინციალურ საბჭოებში, დანიშნულ წევრებთან ერთად, არჩეულმა წევრებმაც მიიღონ მონაწილეობა; განზრახულია აგრეთვე მთავარ პროვინციების საბჭოთა გადიდება და მათის კომპეტენციის გაფართოვება. ინდოეთის მართვა-გამგეობისთვის ინგლისს საკმაო სამხედრო და საფინანსო ძალა აქვს, მაგრამ ამის გარდა საჭიროა კიდევ მორალური ძალა. ინგლისის ავტორიტეტი უფრო ძლიერი იქნება ინდოეთში, თუ მას თვით ინდოელნი დაუჭერენ მხარსაო.

**ვენა.** დეპუტატთა პალატამ კანონ-პროექტი ბოსნია ჰერცოგოვინას შემოერთების შესახებ 55 წევრისაგან შემდგარ კომისიას გადასცა. კამათის დროს ჩეხმა კრამარჟმა სთქვა: ნეოსლავიზმი და პანსლავიზმი სულ სხვა და სხვა მოძრაობებია. ნეოსლავიზმს აზრადა აქვს ძმობა, ერთობა და თავისუფლება. იგი მოქმედებს უმთავრესად რუსებისა და პოლონელების დასაახლოვებლად ნეოსლავიზმს რომ მოახერხოს და რუსეთის პოლიტიკა თავის პრინციპების გზაზე დააყენოს, იგი დიდ სამსახურს გაუწევს არა მარტო სლავიანებს, არამედ მთელ კაცობრიობასაო.

### რუსეთი

**მოსკოვი.** უკანასკნელ საარჩევნო ნაწილში უნდა აერჩიათ 32 ხმოსანი, აირჩიეს კი 2 მონარქისტი, 2 კადეტი და [illegible] ოქტომბრისტი.

**პეტერბურგი.** სამხედრო-ოლქის სასამართლომ დაამთავრა კოვალენსკების საქმის გარჩევა. სასამართლომ გრიგორ კოვალენსკის მიუსაჯა გაუპტფახტზე სამი თვით ჯდომა, სამსახურის უპირატესობათა და უფლებათა შეუზღუდველად, ხოლო მისი ძმა, პავე გაამართლა. ამასთან სასამართლომ დაადგინა გარდა ნედიჩინისა, დაზარალებულთ ზარალის აანაზღაურებლად შეუძლიათ სამოქალაქო სასამართლოს მიმართონ. ქალაქში ხოლერით ავად გახდა 19, გარდაიცვალა 2.

ნიჟნი-ნოვგოროდსა, სორმოვის საქარხნო რაიონსა, კოზინის და გორდეევის საზოგადოებათა და გუბერნიის მოსკოვ-ნიჟეგოროდის რკინის გზის ლიანდაგზე საგანგებო წესები კიდევ დარჩება 1909 წლის 15 თიბათვემდე, გუბერნიის სხვა ადგილებში გაძლიერებული წესები დარჩება 1909 წლის 18 დეკემბრამდის. ტულის გუბერნიაში გაძლიერებული წესები დარჩება 9 დეკემბრამდის. ვლადიმირის გუბერნიის მოსკოვ-ნიჟეგოროდის რკინის გზაზე და მის ახლო მახლო გაძლიერებული წესები დარჩება 11 დეკემბრამდის, ვიატკის გუბერნიაში 1909 წლის 22 დეკემბრამდის.

**კიევი.** ბალაშოვში ოთხი შეიარაღებული კაცი თავს დაესხა მარიინის შაქრის ქარხანას. მოჰკლეს 3 დარაჯი და მეეზოვე, დასჭრეს დარაჯი და გლეხი. თავდამსხმელებმა წაიღეს 10,000 მანეთი.

**დონის-როსტოვი.** გამოირკვა, რომ ნოვინმისის სადგურზე მატარებლის დაჯახების დროს, დაშავდა 22 კაცი. დაშავდნენ სამგზავრო და საქონლის მატარებლის მოსამსახურენი.

**პეტერბურგი.** სენატმა დაადგინა: პეტერბურგის საპოლიტეხნიკო ინსტიტუტის დირექტორი თავადი გაგარინი, პანსიონის გამგე პროფესორი სტანკევიჩი, მისი თანაშემწენი მატუსევიჩი და უსტრუგოვი სამართალში მიეცნენ მე-339 და 341 მუხლების ძალით. გამგეობის წევრებს პროფესორებს შატელინს, ლევინსონს, ლესანგს, პოსტნიკოვს და პოკლოვსკის, გაფრთხილება გამოეცხადათ.

**დონის-როსტოვი.** მცარცველების ბრბომ შიშის ზარი დასცა ოლქის მცხოვრებლებს. ბევრი მემამულე და გლეხი იარაღის ტარების ნებას თხოულობს, მცხოვრებლები კრებებს მართავენ. კრებებზე ბევრგან განაჩენებს ადგენენ, რომ სოფლები ნაწილებად დაიყვნენ ღამე საყარაულოდ.

## ახალი ამბავი

**„დროების" დღევანდელ ნომერთან ერთად გამოვიდა „სურათებიანი დამატება"**

✦ **ცენტრალური სასოფლო-სამეურნეო სადგური.** მოკლე ხანში ტფილისში მოხდება კრება სამიწათ-მოქმედო უწყების დაწესებულებათა და სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებათა წარმომადგენლებისა. კრებამ უნდა განიხილოს საკითხი კავკასიაში სასოფლო-სამეურნეო ცენტრალურ სადგურის შესახებ.

✦ **სოხუმის ხელ-ახალი რევიზია.** როგორც ვიცით, ამას წინად სოხუმის ოლქის რევიზია მოხდა. ეხლა ხელ-ახალ რევიზიას ნიშნავენ.

✦ **უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო კურსები.** მიწათ-მოქმედების სამინისტროს, გაზ. „კავკაზის" სიტყვით, მოუწონებია პროექტი ტფილისში უმაღლეს სასოფლო-სამეურნეო კურსების დაარსების შესახებ და გადაუწყვეტია ყოველწლიურათ სამი ათასი მანეთის შეწევნა აღმოუჩინოს.

✦ **ახალი წიგნები.** რედაქციამ მიიღო შემდეგი ახალი წიგნები: 1. „აკაკის რჩეული ლექსები მისი ცხოვრების მოკლე აღწერით", ტფ. წვრ. ვაჭართა საზოგადოების გამოცემა, ხალხში უფასოდ გასავრცელებლად; 2. „ცისკარი", ლექსები ვ. რუხაძისა, მესამე შევსებული გამოცემა „კოლხიდასი", ფ. 25 კ.; 3. „გურული სცენები და მონოლოგები", ვასო ურუშაძისა; ფ. ერთი შაური; 4. „Долой болезни", ი. ვ. რ—სა, ფ. 20 კაპ.

✦ **საისტორიო საზოგადოების კრება.** 5 დეკემბერს საღამოს 7 საათზე მოხდა საისტორიო საზოგადოების ჩვეულებრივი კრება. მ. გ. ჯანაშვილმა წაიკითხა საინტერესო მოხსენება საინგილოზე. რეფერენტმა გააცნო კრებას ინგილოების ყოფა-ცხოვრება, მეურნეობა, მათი ლაპარაკის კილო, გრამატიკული ფორმები და დასასრულ მოიყვანა რამდენიმე ნიმუში ინგილოების ზეპირსიტყვაობისა. კრებამ გადასწყვიტა, რომ ბ. ჯანაშვილის მოხსენება დაიბეჭდოს საზოგადოების გამოცემაშიო.

✦ **დაპატიმრებულთა განთავისუფლება.** ამიერ-კავკასიის რკინის გზების უფროსის ინ. ნეიგებაუერის განკარგულებით, გუშინ ხელმწიფე იმპერატორის სახელწოდების დღესასწაულის აღსანიშნავად განთავისუფლებულ იქმნენ უბილეთო მგზავრობის გამო დაპატიმრებულნი და ზოგი სხვა ადმინისტრატიულათ დასჯილნი.

**„ნაკადული".** მოგვივიდა ჟურნალ „ნაკადულის" ორი წიგნი, №№ 11 და 22 (მოზრდილთათვის და მცირე-წლოვანთათვის) ორივე ნომერი აკაკი წერეთლის სურათით არის შემკული და ორივეში მოთავსებულია ლექსები და წერილები მგოსანზე,

## წერილები

**ს. ლიშო** (თიანეთის მაზრა). ამას წინად 9 შეიარაღებული ავაზაკი მივიდა მედუქნეებთან და 1000 მან. მოსთხოვეს თითოს ერთისგან მიიღეს 500 მანეთი, დანარჩენებიც მოსატანათ წასულიყვნენ. ერთს მედუქნეს გაუმართავს მათთვის კარგი სუფრა, ცხვარიც დაუკლავს და ჩუმად თიანეთში პოლიციისთვის კაცი უფრენია. რამდენიმე ყაზახი და ნაჩალნიკი მოსულა და პირდაპირ ოთახში, სადაც ყოფილან, უსროლია. 5 მოჰკლეს და 4 დასჭრეს. ყველანი სხვა და სხვა მხრისანი აღმოჩნდნენ. მოსახლეობა სულ აიყარნენ იქიდან შიშით და თიანეთში დაეძებენ ადგილებს.

—

**ხევი.** (საქართ. სამხედრო გზა). ჩვენში საშინლად დიდი თოვლი დასდო, რის გამოც ეს ერთი კვირაა, სამხედრო გზა ზვავებისაგან შეკრულია და მიმოსვლა შეწყვეტილია. 25 ნოემბერს, ნაშუადღევს 4 საათზედ, სოფ. კარკუჩაში მცხოვრებელთა ივანე, გიგოლი და გიორგი მარსაგიშვილების სახლს მთიდან წამოსული თოვლის ზვავი დაეცა: ორი ნაწილი ორ სართულიანის სახლისა სულ მთლად დაანგრია, გადარჩა მესამედი ნაწილი და ისიც საკმაოდ დაზიანებული; შიგ მყოფმა ხიზანმა თავი გადაარჩინა, მხოლოდ 7 წლის ქალს გიგოლისას ვეღარ გამოსწვრო სახლიდან და დაეღუპათ. დაიღუპა აგრეთვე 16 სული სხვილ-ფეხი საქონელი. გაფუჭდა სხვა და სხვა ავეჯი და ნივთი, მთელ წლის საკვები-ქერი, ფქვილი, ერბო და საქონლის საკვები. შენობა ახლად იყო აშენებული და 7000 მანეთამდე ღირდა. ეს სამი დღეა 150-დე კაცი თავდაუზოგავად მუშაობს მთელი სოფლის საზოგადოების მეშველნი სთხრიან ზვავში ჩაქოლილს სახლ-კარს და ავეჯს, მაგრამ საცოდავი ქალი ვერაფრით ვერ უპოვნიათ. 25-ზე სული დარჩა უსახლკაროდ, უსამოსლოდ, უსაჭმელოდ და სრულიად ღატაკად შეიქმნა. საჭიროა დახმარება თუ ვინმე რამეს გაიმეტებს. უნდა სოფ. ყაზბეგში მამასახლისის [illegible] სახელზე, გადასცემენ დაზარალებულთ.

კალმის-წვერა.

## თეატრის მატიანე

**ბაქო.** 30 ნოემბერს „ქართულ საზოგადოების" თეატრში ნიჭიერ მსახიობის ნინო ჩხეიძის საგასტროლოდ წარმოდგენილ იქმნა: „აჩრდილი", დრამა სამ მოქმედებად ფელდმანისა, თარგმანი კ. მესხისა.

ავტორს თავის პიესის სიუჟეტად სიყვარული აუღია. იანინას, პიესის უმთავრეს მომქმედ პირს უყვარს ვიღაც ლეო, რომელიც სადღაც იკარგება. იანინა მას ვერსად პოულობს. დიდის მწუხარების შემდეგ სხვა და სხვა მოსაზრებით, უახლოვდება ექიმს მიხეილს. იანინას სურს ისარგებლოს ასეთ კეთილ ადამიანთან სიახლოვით და საწყალ ხალხს რამეში გამოადგეს. ამას ამჯობინებს მონოზნად წასვლას. ექიმ მიხეილთან იანინა გაიცნობს უცხო ქვეყნიდან დაბრუნებულ მისს მეგობარს ალექსანდრეს, რომელიც ფილოსოფოსობს და მსჯელობს მაღალ მატერიებზე. იმის მეოხებით იანინა შეიტყობს, რომ მისი საყვარელი ლეო სიკვდილის ჟამს ჰკოცნის იანინას სურათს და სთხოვს ამ უცნობს, მიხეილის მეგობარს ალექსანდრეს, რომელიც შემთხვევით ხდება მოწამე მის სიკვდილისა, გადასცეს თუ სადმე შეხვდეს საყვარელ არსებას, მისი თავგადასავალი. ალექსანდრე, როგორც ფილოსოფოსი—დილეტანტი იანინას ეკამათება სულის მოჩვენებაზე, მეგობრულ სიყვარულზე და მოუთხრობს, თუ როგორ შეხვდა სიყვარულით აღსავსე პირს. ამ დროს იანინა იცნობს ამ კაცში თავის საყვარელ ლეოს.

იანინა ორ ცეცხლ შუა ვარდება: იგი ჰგრძნობს პირველ სიყვარულს და ამავე დროს ჰხედავს რომ მიხეილთან არის შეკავშირებული. სრულიად მოულოდნელად არწმუნებს მიხეილს, რომ იგი მას ვერ შეიყვარებს: „ნუ გიყვარვარ ეგრე, მე ის არა ვარ, რომელიც შენა გსურდა, მიხეილ". მიხეილს არა სჯერა. იანინას ნათქვამი მოჩვენებათ მიაჩნია, მაგრამ ამაში დარწმუნდება, მასში იღვიძებს თავშეკავებულ ადამიანის გრძნობა. მიხეილი ამბობს: „მე კაცი ვარ, კაცურ ბუნებას ვერ ვუღალატებო". უნდა გასწყვიტოს ყოველივე კავშირი იანინასთან, მაგრამ ვერ ახერხებს. იანინა იტანჯება ორ ნაირად: ერთის მხრით დაკარგული საყვარელი და მეორეს მხრით მომავალში არა სიყვარულით გამოწვეული მიხეილთან განწყობილება. მიხეილი კი ტანჯვასა ჰგრძნობს მოქიშპე აჩრდილის მიერ იანინას გულის დამონავებით. ამას კარგათ ჰხედავს იანინა და ტანჯვას ბოლოს უღებს: ქორწილის წინ იგი შედის მეორე ოთახში და თავს იწამლავს. ამის დანახვაზე დედა მისს გული უსკდება და კვდება.

ასეთია მოკლედ პიესის შინაარსი. ავტორს იანინას სახით გამოჰყავს ძლიერ ფაქიზ სინიდისის ადამიანი. შინაარსით პიესა ახალს რამეს არ წარმოადგენს. ასეთ თემაზე ბევრი დაწერილა, მაგრამ ხელოვნების მხრივ პიესა მაინც მოსაწონია.

რაც შეეხება წარმოდგენას, ჩხეიძემ საუკეთესოდ შეასრულა იანინას როლი. მან შესანიშნავად დახატა სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილ შეყვარებულ ქალის მდგომარეობა, ხორცი შეასხა როლს. საზოგადოება, რომელიც ბლომად დაესწრო, დიდის პატივისცემით მიეგება და ხანგრძლივის ტაშისცემით და ყვავილების თაიგულით დააჯილდოვა მსახიობი.

ესევე არ შეგვიძლიან ვთქვათ დანარჩენ მსახიობზე. ბ-ნი მატარაძე (მიხეილის როლში) რამდენადაც კარგი იყო პირველ და მეორე მოქმედებაში, იგი იმდენად უვარგისი იყო მესამეში. უკანასკნელ მოქმედებაში ეს უნდა დავაბრალოთ როლის უცოდინარობას.

ბ-ნი ამაშუკელი (ალექსანდრეს როლი) არ იყო თავის როლში და ვერც დაგვიხატა ტიპი გულცივ კერპ ადამიანისა. დედას როლის ამსრულებელი ქ-ნი ლიახვისპირელი უფრო მოსამსახურე ქალს თამაშობდა.

შემდეგ ითამაშეს აწყურელის გადმოკეთებული ვოდევილი: „ორი მშიერი", რომლის დროსაც შველიძემ და თალაკვაძემ ბევრი აცინეს საზოგადოება. №

## ილია ჭავჭავაძის ფონდი

**ბაქო.** გთხოვთ დაბეჭდოთ ანგარიში ქალაქ ბაქოში გამართულ ილია ჭავჭავაძის საღამოსი (27 ოქტომბერს 1908 წ.).

შემოსავალი: ბილეთებისა—531 მ. 50 კ., პროგრამისა—19 მ. 55 კაპ., ჟეტონებისა ილიას სურათით—100 მ. 60 კ., შემოწირულება ფულით—9 მ. 50 კ., სულ—661 მან. 15 კაპ.

გასავალი: შენობის ქირა—100 მ., ჟეტონები—60 მ., მარკები ბილეთებისათვის—26 მ. 60 კ., ხორის მოწყობა (ლოტბარი, ტანისამოსი, ფორტეპიანო)—55 მ., გარსამს—15 მან. 90 კ., აფიშები და პროგრამები—9 მ., აფიშების გაკვრა—7 მ., შენობის განათება—14 მ. 34 კ., მეკარნახეს—6 მ., მისვლა-მოსვლა ეტლით

—4 მ. 87 კაპ. მოსამსახურეს—3 მ., პროჟექტორების ქირა—3 მ., სკამების ქირა—16 მ., სხვა და სხვა წვრილმანი ხარჯი—37 მ. 80 კ., სულ 358 მან. 51 კაპ.

წმინდა შემოსავალი (661 მან. 15 კაპ.—358 მ. 51 კ.) 302 მ. 64 კ. გადაეცა ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოებას ილიას ფონდის გასაძლიერებლად.

ბაქოს ქართველთა საზოგადოებისა და ბაქოს ქართველ ქალთა წრის გამგეობანი ღრმეს მადლობას უცხადებენ საზოგადოდ, ყველა იმ პირთ, ვინც რაიმე დახმარებით ან დასწრებით ხელი შეუწყო საღამოს გამმართველებს, განსაკუთრებით მრავალ მადლობას უცხადებენ: მხატვარს გ. ბ. ფირალოვს—ცოცხალ სურათების დადგმისათვის, ბ. ციცვაძეს, რომელმაც მოიტანა საკუთარი ლამპები და გაანათა სცენა და ამით დიდად დაავალა გამგეებს, რადგან სწორედ საღამოს 7 ნახ. საათზედ ელექტრონი ჩაქრა, თავად თუმანიშვილს და ბ. ჭუსეინოვს—ფულის შემოწირულებისათვის და ასოთ-ამწყობს, რომელმაც აფიშები და პროგრამები უსასყიდლოდ აწყო.

**ბაქოს ქართველთა საზოგადოების და ბაქოს ქართველ ქალთა წრის გამგეობანი.**

---

**ორდუბათი.** გიგზავნით ჩემ მიერ შეგროვილ ორდუბათში ოცდახუთ მანეთს. ილია ჭავჭავაძის ფონდის გასაძლიერებლად. სია შემომწირველთა:

ნ. ცაგარელი—5 მ., ა. გომელაურმა—3 მ. 50 კ., სამ-სამი მანეთი: ა. კერესელიძისა და ე. შენგელიამ; კ. ხომერიკმა—2 მ., თითო თითო მანეთი: მღ. ჩალაძემ, ნ. ჩალაძისამ, ვ. მალიშკოვისამ, მ. საფრონოვისამ, ნ. კუჩუხიძემ, მ. ფავლენიშვილმა, ა. კანდელაკმა და ვ. ქარუმიძემ; მ. მარინოვი—50 კ.

**ალექსანდრ. კერესელიძე.**

# რუსეთი

◆ **პეტერბურგის პოლიცია.** პეტერბურგში ხუთი ათასმა მეეტლემ სახელმწიფო სათათბიროში საჩივარი შეიტანა პეტერბურგის პოლიციაზე. პეტერბურგის პოლიციის ბოროტმოქმედებამ მოსკოვსას გადააჭარბა. წელიწადში მარტო მეეტლეებისაგან თურმე 300,000 მანეთს იღებდნენ. ფულის გამორთმევა ადვილი საქმე იყო. პოლიცმეისტერი ან ბოქაული შორს მოუდებდა, ფარნები ან სხვა რამე არ გივარგაო და მორჩა. სანამ მეეტლე ფულს არ მისცემდა, არ უშვებდნენ. თუ მეეტლე გაჯიუტდებოდა, რამდენიმე დღით დაატუსაღებდნენ. ჯარიმას ხშირად გრადონაჩალნიკის განკარგულებით ახდევინებდნენ. უბნის ზედამხედველი მიუტანდა უწყებას, რომელშიაც ჩაწერილი იყო ჯამი ჯარიმისა და უბარათოდ ართმევდა ფულს. რადგან მეეტლეები შეშინებულნი იყვნენ დატუსაღებითა ამიტომ რაც უნდოდათ, იმას უშვრებოდნენ. გააკეთებდა პოლიცია ტყუილია უწყებებს და ახდევინებდა ჯარიმას მეეტლეებს, ვითომდა კანონიერად. სხვანაირადაც ავიწროვებდნენ მეეტლეებს. ყოველი მეეტლე მოვალე იყო პოლიციელი ოჯახობით, მისი ნათესავები უფასოდ ეტარებინა. ზოგიერთები უფრო შორს მიდიოდნენ. მაგ. ბოქაული პლოხოვი სახლს აშენებდა. სახლის მასალა: რკინა, ხე, ქვა და სხვა უფასოდ გადააზიდინა მედროგეებს. პოლიცმეისტერი პოლიბინი ნებას არ აძლევდა მეეტლეებს, რომ თივა სხვაგან სადმე ეყიდნათ, თუ არ იმისგან, მერე ისიც ფუთი 50 კ. როდესაც ქალაქში ფუთი 35 კ ღირდა. ამ ბოლო დროს უფრო ცუდ მდგომარეობაში ჩაცვივნულან მეეტლეები. გრადონაჩალნიკ დრაჩევსკის დაუნიშნია კომისსია მარხილების შესამოწმებლად (პეტერბურგში ეხლა სულ მარხილებია) კომისსიაში ისევ პოლიციელები მოჰყოლიან. კომისია რაც შეიძლება აგვიანებდა თურმე მარხილების გასინჯვას (გაუსინჯავად გამოსვლა არ შეეძლოთ)- რაც აიძულებდა მეეტლეებს ფულით „პატივი ეცათ“ კომისიის წევრებისთვის. ამ ქრთამებს უფროსი პოლიციელნი იღებდნენ ახლა რასაც უბნის ზედამხედველები და უბრალო პოლიციელნი იჯიბავდნენ, ის კიდევ მეტი იყო. მეეტლეები სთხოვენ დეპუტატებს, რომ ისინი შეეკითხნენ მთავრობას, რატომ ყურადღებას არ აქცევს პეტერბურგის პოლიციას და სასამართლოში არ აძლევს მექრთამეებს? თუ სამართალში არ მისცემენ, სწერენ მეეტლეები, იშუამდგომლეთ ხელმწიფის წინაშე, რომ სენატორი დანიშნოს სარევიზიოდაო. ამასთანავე მეეტლეები სთხოვენ რომ მათ შესახებ შემუშავებულ იქმნას ახალი კანონ-პროექტი, რომლითაც დაჯარიმება სასამართლოს წესით მოხდეს ხოლმე.

◆ **კოსტრომის საკომერციო ბანკი.** ამ ჟამად კოსტრომის საკომერციო ბანკის ლიკვიდაციაა. დანიშნული იყო მთავრობის კომისია. კომისიას ბევრი ბოროტ-მოქმედება აღმოუჩენია. გაფლანგულ ფულის რაოდენობა 2 მილიონ მანეთს უდრის. მთავრობის კომისიას ბანკის მთელს გამგეობა და სარევიზიო კომისიის წევრები სამართალში მიუცია.

◆ **რუსეთის სესხი.** მოსკოვის გაზეთებს პარიზიდან ატყობინებენ, რომ სოციალისტები დიდ საპროტესტო მიტინგს მართავენ რუსეთის სესხის წინააღმდეგაო.

◆ **პეტერბურგის ქალთა უმაღლესი სასწავლებლები.** პეტერბურგის ქალთა უმაღლეს სასწავლებლებს გადაუწყვეტიათ, მონაწილეობა მიიღონ სრულიად რუსეთის ქალთა პირველ კრებაში. განზრახულია თვითეულ სასწავლებლიდან თითო დელეგატი გაიგზავნოს კრებაზე. აირჩიეს დროებითი ბიურო.

◆ **სატყეო ინსტიტუტი.** ამას წინად ვწერდით, რომ სატყეო ინსტიტუტის პროფესსორებმა განუცხადეს სტუდენტებს, რომ თუ 28 ნოემბერს სწავლას არ შეუდგებით, ვითხოვთ, რომ ინსტიტუტი დაკეტონო. ეხლა, როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, პროფესორებს უთხოვნიათ ინსტიტუტის დროებით დახურვა, რადგან სტუდენტებს ბოიკოტი არ შეუწყვეტიათ. მიწათ-მოქმედების მთავარ მმართველს შეუწყნარებია პროფესსორების შუამდგომლობა.

◆ **ფინლანდიაში.** ფინლანდიიდან პეტერბურგში ამ დღეებში ჩავა სამეურნეო დეპარტამენტის ვიცე-პრეზიდენტი ელსიელს, როგორც ხმა დადის. მინდობილი აქვს პირადად ხელმწიფეს სთხოვოს, რომ მოსპობილ იქმნას მინისტრთა საბჭოს კონტროლი ფინლანდიის მართველობაზე და სეიმს გადაეცეს ჯარში გასაწვევ ფინლანდელების საქმე.

## წერილი რედაქციის მიმართ

უმორჩილესად გთხოვთ, ამ წერილს ადგილი დაუთმოთ და მით საშუალება მომცეთ სიმართლე აღვადგინო იმ შენიშვნის შესახებ, რომელიც „დროების (№ 7)“ თეატრის მატიანეში იყო მოთავსებული.

ამ შენიშვნის ავტორი 2 ნოემბერს ქუთაისში გამართულ საღამოს გამგეებს გვისაყვედურებს, იმ დღეს რატომ გამართეთ საღამო, როცა ქ-ნ დავითაშვილის ბენეფისი იყოო. ხსენებულ საღამოის გამმართველთაგან ერთი მეც გახლავართ და ამიტომ საჭიროდ ვრაცხ პასუხი გავსცე შენიშვნის ავტორს. ვინც იმ საღამოს ამბავი იცის, არას გზით ასეთ საყვედურს არ მოგვახვევდა თავზე. მე პირადად ქ-ნ დავითაშვილთან კარგი განწყობილება მაქვს, მისი ნიჭის თაყვანისმცემელი ვარ, დიდად ვაფასებ მისს თანაგრძნობას და საქველმოქმედო საღამოებსა და წარმოდგენებში მონაწილეობას; ჩემთვისაც ხშირად ხელი შეუწყვია ამ გვარ საჭიროების დროს.

ამას გარდა, საღამოს გამგეებმა კარგად ვიცოდით, რომ დავითაშვილის ბენეფისი უფრო ჩვენ მოგვაყენებდა ზარალს, ამიტომ ყოველ ღონეს ვხმარობდით, რომ ჩვენი საღამო დავითაშვილის ბენეფისს არ შეხვედროდა. მაგრამ, სამწუხაროდ, საღამოს გადადება-გადმოდება ჩვენზე აღარ იყო დამოკიდებული: ჩვენ გვყავდა მოწვეული საღამოში მონაწილეობის მისაღებად მომღერალი ქალი დრუზიაკინა. გვინდოდა საღამო 23 ნოემბრისთვის გადაგვედვა, და მეორედ შევეკითხე ტფილისში ქ-ნ დრუზიაკინას, მაგრამ გადაწყვეტილად გვაცნობა, ოცდა ერთ ნოემბრის გარდა არც ერთი დღე თავისუფალი არა მაქვსო. რაღა უნდა გვეთქვა მათთვის, ვინც საღამოს გამართვა მოგვანდო! საღამოზე ხომ სულ ხელს ვერ ავიღებდით?! ეს გარემოება რომ მხედველობაში მიეღო შენიშვნის ავტორს, საყვედურს არ გვეტყოდა.

სიმართლის მოყვარეობა მოითხოვს, რომ „ზაკავკაზსკოე ობოზრენიემაც“ ინებოს ამ წერილის გადაბეჭდვა, რადგან ეგევე შენიშვნა ზედმიწევნით არის ხსენებულ გაზეთის მე-62 ნომერში მოთავსებული.

**ანნა დადიშკელიანისა.**

რედაქტორ-გამომცემელი
**ივანე სოზიაშვილი.**

1 მანეთიდან ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილათ 1 მანეთიდან

ხელის მაშინები 25 მანეთიდან

იყიდება იმპერიის ყველა ქალაქში, განსაკუთრებით საკუთარ მაღაზიებში.

ტფილისში სამი განყოფილებაა: 1. გოლოვინის პროსპექტზე; 2. ვოგზლის ქუჩაზე, სახლი ენფიანჯიანცისა; 3. ავლაბარში, კახეთის ქუჩაზე, სახლი ჯალალოვისა. (10—6.—4)

გალოშები
„პროვოდნიკისა“

პატენტ-მიღებული
საუკეთესო მთელ ქვეყნიერობაზე

პირველი ადგილი უჭირავთ სიმკვიდრით, და ზედმოხმარებულ ფასონის სილამაზით საქონლის ღირსებით.

**უეჭველი თავმდებობა საქონლის სამაგალითო სიმტკიცისა და სიმაგრისა ყოველ წყვილზე.**

პროვოდნიკისა

1888

წარმომადგენლები მთელ კავკასიისთვის

ტფილისი და ბაქო. მიუნზ და ვეის

(50—6.—30)

„გრამოფონი“

გოლოვინის პროს., № 9. ტფილისის განყოფილება გოლოვინის პროს., № 9.

ერიდეთ სიყალბეს!!!

**ყურადღება მიაქციეთ აქ დახატულ საფაბრიკო ნიშანს, რომელიც ყველა ჩვენ გრამოფონსა აქვს!!!**

გრამოფონი საუკეთესო გასართობია სახლში!!! მღერის, ლაპარაკობს, უსტვენს, თამაშობს და სხვ. შეძლებას იძლევა ყოველ დროსა და ჟამს, ყური დაუგდოთ საუკეთესო მომღერლის ხმას და სხვა და სხვა კონცერტებს. ყველას შეძლებას აძლევს, გაინვითაროს სმენა და გაიმდიდროს მუსიკალური ცოდნა. შეძლებას აძლევს ყველას, გამართოს თავის სახლში საცეკვაო საღამოები. აღვიძებს მუსიკისადმი სიყვარულს. სასარგებლოა არა მარტო როგორც გასართობი, არამედ აღზრდის საქმეშიაც. იგი სახელია ჩვენი მოლაპარაკე მაშინებისა.

**ფასები მთელი რუსეთისთვის, კავკასიისთვის და იმიერ-კასპიის მხრისთვის ერთნაირია —შეუვაჭრებლად.**

ყველა ფირფიტა, რომელიც ჩვენ მიერ დაწესებულ ფასებზე იაფად იყიდება, ან ყალბია ან ძველი, უკვე ნახმარი, და ასეთ ფირფიტებისთვის პასუხის-მგებლობას ვერ ვკისრებთ.

**მიღებულია აპპარატები სულ ახალ კონსტრუქციისა** საუკეთესო მექანიზმით და ახალ მოდელებთან.

**მიღებულია აუარებელი გურული ხმები.**

მოითხოვეთ ნახატი კატალოგები აპარატებისა და სია ფირფიტებისა, რომლებიც იძლევა და იგზავნება უფასოდ.

ვისაც ეინტერესება და სურს,

**საზოგადოება სთხოვს დაურიდებლად მობრძანდეს მაღაზიაში, გოლოვინის პროსპ., № 9.** სადაც აპარატებს დაუკრავენ და შეუძლიანთ მუქთად მოისმინოს.

აპარატები იყიდება სამი წლის პასუხის-მგებლობით!!

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევენ ის ფირფიტებ რომლებზედაც გადაღებულია ნამღერი მთელ დედამიწაზე ცნობილ მომღერალ ქალებისა და კაცებისა. ა მომღერალთა გვარები და ფოტოგრაფიული სურათები დაბეჭდილია კატალოგებში.

**ამა წლის 1 დეკემბრიდან გაიყიდება ორ-მხრივი ფირფიტები ადგილობრივ ენებზე. პატარა ფირფიტა 75 კაპ. დ გრანდი 1 მ. 50 კ. ვთხოვთ პატივცემულ საზოგადოება ეს მხედველობაში მიიღოს.**

ერიდეთ სიყალბეს!

(15—6.—

პროვოდნიკის

ამხანაგობა

1888

რიგაში

საფაბრიკო საწყობი ამიერ-კავკასიისთვის ტფილისში

სოლოლაკის ქუჩა, № 4.

● იყიდება ნარდად და ცალობით: ●

**რეზინის, კანაფის და სხვა მილები სხვა და სხვა საქმისთვის,**
**რეზინის ტეხნიკური და ელექტრო-ტეხნიკური ნაწარმოები და ფოტოგრაფიის კუთვნილებები,**
**რქის რეზინისა და ებონიტის ნაწარმოებები,**
**იზოლაციონი და საკაბელო კუთვნილებები,**
**რეზინის საქირურგიო და სამკურნალო ნაწარმოებები,**
**რეზინის სათამაშოები და ბურთები,**
**რეზინის საგალანტერეინო საქონელი,**
**საშლელი რეზინი „სპილოს“ მარკისას**

ცალობით ვაჭრობა დედა-მიწაზე საუკეთესო კალოშების

„პროვოდნიკი“-სა

სტამბა „სინათლე“, დიდი ვანქის ქუჩა, № 12.